დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25

2022 წლის 17 ოქტომბერი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესები დანართი N1-ის შესაბამისად;

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 01 ნოემბრიდან;

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ჯაბა ყულიაშვილი

დანართი N1

დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესები

1. ქალაქ დმანისში, 9 აპრილის ჩიხზე მოეწყოს ცალმხრივი მოძრაობა ბაზრიდან ფოსტის მიმართულებით წმინდა ნინოს ქუჩის კვეთამდე;
2. ქალაქ დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩიდან ცხრა აპრილის ჩიხის მიმართულებით, აიკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების შესვლა;